



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
6 ივლისი, 2017

მთავრობა ქართლის ქარის ელექტროსადგურის აქციების საჯარო შეთავაზებას გეგმავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე. გორში მდებარე, 20.7 მგვტ.-იანი ქარის ელექტროსადგურის წლიური საპროგნოზო გენერაცია 88.0 გვტ.სთ.-ია, ხოლო ამ წლის იანვარ-მაისში გამოიმუშავებამ 38.6 გვტ.სთ. შეადგინა. ესკოსთან გაფორმებული ათწლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი შეადგენს 6.89 ცენტს კვტ.სთ-ზე. ელექტროსადგურის აქციონერები არიან საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. პროექტის დასაფინანსებლად EBRD-მ ათწლიანი, 22.0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გასცა. EBRD-ს აღნიშნული ტრანზაქცია EMEA Finance-მა 2016 წლის საუკეთესო ტრანზაქციად დაასახელა განახლებადი ენერგიის სფეროში.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-მ დაასრულა 187 მგვტ.-იანი შუახევი ჰესის მშენებლობა. ბოლო 50 წლის მანძილზე საქართველოში აშენებული უმსხვილესი ჰესის მოსალოდნელი წლიური გენერაცია (450.0 გვტ.სთ.) გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკულ სავაჭრო ბალანსს და გაზრდის ენერგოდამოუკიდებლობასა და მიწოდების უსაფრთხოებას. შუახევის 37.5კმ-იანი გვირაბი მსოფლიოში სიგრძით მეორეა ჰიდროსადგურის გვირაბებს შორის. ჰესის ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა 420.0 მლნ. აშშ დოლარი, საიდანაც 40.5% არის ნორვეგიული Clean Energy Invest, ინდური Tata Power-ისა და IFC Infraventures-ის კაპიტალი, ხოლო 59.5% არის EBRD, ADB და IFC-ის ერთობლივი სესხი (250.0 მლნ. აშშ დოლარი). კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა მოიცავს 70 პროექტს, მათ შორის, განათლების დონის ამაღლებას ენერგეტიკისა და მშენებლობის სექტორებში და ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს რკინიგზამ უარი თქვა პირდაპირი მომხმარებლის სტატუსზე. რკინიგზის წილი ქვეყნის ჯამურ მოხმარებაში უმნიშვნელოა (0.1% 2016 წელს). ახალი წესების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა ორმხრივი კონტრაქტების ბაზრის სტიმულირებას, 1 კვტ.სთ. წლიურ მოხმარებამდე შემცირდა პირდაპირი მომხმარებლად რეგისტრაციისთვის მინიმალური ზღვარი. მიუხედავად ამისა, ბოლო ორი წლის განმავლობაში პირდაპირი მომხმარებელთა რიცხვი ექვსიდან ორამდე შემცირდა. აღნიშნული შემცირება სავარაუდოდ გამოწვეულია სატარიფო მეთოდოლოგიის პირობებით, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს სადისტრიბუციო კომპანიებს და ამცირებს პირდაპირი მომხმარებლების მოტივაციას ივარჯონ სადისტრიბუციო ქსელს გარეთ. ბაზარზე დარჩენილია მხოლოდ ორი პირდაპირი მომხმარებელი: შპს ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი (2016 წლის მოხმარების 2.4%) და შპს ჯორჯიან მანგანეზი (2016 წლის მოხმარების 8.5%).

იგეგმება საქართველოს მასშტაბით ელექტროდამტენების დაყენება, რაც ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული ავტომობილების მფლობელებს საშუალებას მისცემს შეუჩერებლად იმგზავრონ თელავიდან ბათუმამდე. პროექტის ინიციატორია E-space, ხოლო მხარდამჭერი - m2 უძრავი ქონება. თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში უკვე დაყენებულია 20 დამტენი. m2 უძრავი ქონება დაფარავს 100,000 ევროს კაპიტალურ ხარჯს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს მწვანე განვითარებას. E-space 2017 წლის ბოლომდე გეგმავს ასამდე ელექტროდამტენის დაყენებას პარტნიორი კომპანიების გაზგასამართ სადგურებზე, სასაქონლოებთან და სუპერმარკეტებთან. ელექტროდამტენების გამოყენება უფასოა მიმდინარე წლის ბოლომდე, ხოლო 2018 წლიდან დაწესდება მინიმალური ტარიფი, რომელიც დაფარავს სარემონტო და მიმდინარე დანახარჯებს.

საქართველოს თოთხმეტი მუნიციპალიტეტი კლიმატისა და ენერგიისთვის „მერების შეთანხმების“ ხელმოწერაში არიან. მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს და მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის გამოყენების და ენერგო ეფექტურობის გაზრდას, აგრეთვე ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებას. 2008 წლიდან მოყოლებული მერთა შეთანხმებას 7,500-ზე მეტი ხელმოწერა ჰყავს. საქართველოში მერთა შეთანხმების ხელმოწერმა მუნიციპალიტეტებმა ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება მიაღწიონ თავიანთ სამოქმედო გეგმაში 2020 წლისთვის დასახულ მიზნებს. სამოქმედო გეგმის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს მუნიციპალური შენობების და საჯარო ტრანსპორტის მოდერნიზებას. მერთა შეთანხმების ხელმოწერათვის არსებობს დონორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ბანკების მიერ გამოყოფილი გრანტები და საკრედიტო ხაზები კერძოდ იმ პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ენერგოეფექტურობის გაზრდას და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებას.

ინტერ-რაო სარჩელი შეიტანა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ინტერ-რაო ფლობს სს „თელასი“-ს აქციათა 75%-ს, ხოლო სს „ხრამჭესი 1“ და „ხრამჭესი 2“-ის 100%-ს ნიდერლანდებში დაფუძნებული ორი სხვადასხვა შვილობილი კომპანიის მეშვეობით. საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის არსებობს ორმხრივი ინვესტიციების შეთანხმება, რომელიც იცავს უცხოელი ინვესტორის ინტერესებს საქართველოში. ინტერ რაო ითხოვს ანაზღაურებას ვალუტის გაუფასურებით მიყენებული ზარალისა, რომლის გათვალისწინებაც არ მოხდა სემევის მიერ ტარიფის დათვლის დროს. ზოგადად, საქართველოში არსებული სატარიფო მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებას. სარჩელის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში წარდგენამდე, ინტერ-რაო პრეტენზიები წარადგინა საქართველოს მთავრობის წინაშე, თუმცა მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. წინასწარი ინფორმაციის თანახმად, ინვესტორი ითხოვს 125მლნ. აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურებას.

წინა პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი

ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

მაისში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	3.9 აშშ ცენტრი კვტ.სთ-ზე
მაისში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.4 აშშ ცენტრი კვტ.სთ-ზე
მაისში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	3.4 აშშ ცენტრი კვტ.სთ-ზე
მაისში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი**	5.9 აშშ ცენტრი კვტ.სთ-ზე
მაისში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.6 აშშ ცენტრი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 5თ17, კვტ.სთ	7.6%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 5თ17, კვტ.სთ	5.96%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 5თ17, კვტ.სთ	38.11%

*საშუალო გაცვლითი კურსი მაისში GEL/USD = 2.428; TRY/USD = 3.563

**მაისში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (1.605 გვტ.სთ)




ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

შიდა მოხმარება მასში წლიურად 1.3%-ით არის გაზრდილი. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება მასში წლიურად 6.0%-ით გაიზარდა: თელასის მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა წლიურად 6.8%-ით, ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება 5.5%-ით, ხოლო კახეთის ენერგოდისტრიბუციის 6.2%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება მასში წლიურად 7.7%-ით გაიზარდა და ქვეყნის მოხმარების 12.5% შეადგინა. ქვეყნის შიდა მოხმარების შედარებით დაბალი ჯამური ზრდის ტემპი (1.3% წ/წ) ძირითადად გამოწვეულ იქნა პირდაპირი მომხმარებლების მოხმარების 26.6%-იანი კლებით (-4.1 პროცენტული პუნქტი 1.3%-იან ზრდაში), რაც თავის მხრივ ჯორჯიან მანგანუმის ელექტროენერგიის მოხმარების 30.1%-იანი კლებით იყო გამოწვეული. მასის თვეში ჯორჯიან მანგანუმმა შეამცირა წარმოების დონე, მას შემდეგ, რაც მთავრობამ კომპანიაში დანიშნა სპეციალური ადმინისტრატორი.


ელექტროენერგიის ექსპორტი მასში წლიურად 5.4%-ით გაიზარდა და 200.1 გვტ.სთ-ს შეადგინა. ექსპორტის ძირითად მიმართულებას (მთლიანად 42.1%) თურქეთი წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 38.1%-ითაა გაზრდილი, 2016 წლის შედარებით დაბალი ზაზიდან (-29.7% წ/წ). თურქეთის მიმართულებით უმსხვილესი ექსპორტიორები იყვნენ 89.0 მგვტ.-იანი ფარავან ჰესის მფლობელი, საქართველო ურბან ენერჯი (69.8%) და ახლადშენებული, 47.5 მგვტ.-იანი ხელვაჩაური ჰესის მფლობელი კომპანია, აჭარა ენერჯი 2007 (22.5%). რუსეთის მიმართულებით ექსპორტი შემცირდა 22.6%-ით და ჯამური ექსპორტის 31.6% შეადგინა; ექსპორტი სომხეთში გაზრდილია 14.1%-ით და ჯამური ექსპორტის 25.8%-ს შეადგენს, ხოლო ექსპორტის დანარჩენი მოცულობა (0.5%) განხორციელდა აზერბაიჯანის მიმართულებით. რუსეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით ესკო იყო ერთადერთი ექსპორტიორი, ხოლო სომხეთში ექსპორტი გაიყო ესკოსა (49.0%) და საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას (სსეკ) შორის (51.0%). ესკომ სომხეთში ექსპორტი განახორციელა 2017 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება (გვტ.სთ.)




წყარო: ესკო

ჰიდროგენერაციამ თითქმის სრულად დააკმაყოფილა ელექტროენერგიაზე მოთხოვნა და მთლიან მიწოდებაში 99.1% შეადგინა. ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების წილი მთლიან მიწოდებაში 0.7% იყო, ხოლო იმპორტისა და თბოსადგურების ჯამურმა გენერაციამ მხოლოდ 0.2% შეადგინა. მასის თვეში ადგილობრივი გენერაციის 19.0% გავიდა ექსპორტზე. ჯამური ჰიდროგენერაცია გაიზარდა მხოლოდ 1.3%-ით. დერეგულირებული სადგურების ჯამური წარმოება გაზრდილია წლიურად 38.7%-ით, საიდანაც 29.5 პროცენტული პუნქტი ამ კატეგორიაში 2016 წლის ბოლოს დამატებული მსხვილი ჰიდროსადგურების (108.0 მგვტ. დარიალი და 47.5 მგვტ. ხელვაჩაური) ინტეგრირების შედეგია, ხოლო დანარჩენი 9.2 პროცენტული პუნქტი კარგი ჰიდროლოგიური პირობების. ამავდროულად, ენგურის და ვარდნილის წარმოება შემცირდა 1.7%-ით, დანარჩენი რეგულირებული სადგურების კი 10.0%-ით, რაც ზამთრის პერიოდში (ოქტომბერი - აპრილი) ცუდი ჰიდროლოგიური პირობების შედეგად რეზერვუარებში წყლის დაბალი დონით აიხსნება. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა წლიურად 12.9%-ით და შეადგინა 0.64 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე. 2017 წლის მაისში გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე თითქმის ყველა წყარომ მიაწოდა სრული თვის განმავლობაში, გარდა მე-3 ბლოკისა, რომელშიც რემონტი მიმდინარეობდა.




გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


მაისში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში 16.8%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 3.9 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ჯამური მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 7.2% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. 2017 წლის მაისში საქართველოდან ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი კვტ.სთ.-ზე 3.4 აშშ ცენტს შეადგენდა (+2.0% წ/წ), რაც 22.7%-ით ნაკლებია თურქეთის საბაზრო ფასზე. მაისის თვეში საშუალო საბაზრო ფასი თურქეთში კვტ.სთ.-ზე 4.4 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც 12.5%-ით აღემატებოდა საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასს.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: იმპორტი იყო უმნიშვნელო



ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი (გვტ.სთ)

	ივნ-16	ივლ-16	აგვ-16	სექ-16	ოქტ-16	ნოემ-16	დეკ-16	იან-17	თებ-17	მარ-17	აპრ-17	მაის-17	2016	5თ17
შიდა მოხმარება	844	898	906	789	883	967	1,162	1,085	1,012	1,019	933	856	11,007	4,905
წლიური ზრდა	7%	7%	8%	4%	13%	11%	14%	7%	13%	8%	8%	1%	6%	8%
აფხაზეთის რეგიონი	101	110	117	110	142	196	254	252	234	205	171	132	1,927	995
წლიური ზრდა	15%	9%	12%	17%	24%	10%	9%	7%	20%	7%	14%	8%	7%	11%
კვალიფიციური საწარმოები	124	113	83	64	75	81	123	107	113	129	128	95	1,209	572
წლიური ზრდა	6%	13%	11%	-13%	-2%	-4%	44%	18%	25%	12%	5%	-27%	-1%	5%
სადისტრიბუციო კომპანიები	620	675	706	615	666	690	785	726	666	685	634	629	7,872	3,339
წლიური ზრდა	6%	6%	7%	4%	13%	14%	13%	6%	9%	8%	7%	6%	7%	5%
ენერგო-პროდუქცია	382	417	434	375	405	407	455	413	381	410	390	393	4,740	1,986
წლიური ზრდა	3%	1%	0%	-1%	8%	10%	8%	3%	10%	9%	6%	6%	3%	6%
თელასი	211	230	240	213	231	253	297	281	256	246	216	209	2,789	1,209
წლიური ზრდა	13%	18%	22%	17%	25%	22%	21%	11%	8%	8%	9%	7%	15%	8%
კახეთის ენერგო დისტრიბუცია	26	29	32	28	30	30	33	32	28	29	27	27	343	144
წლიური ზრდა	-2%	-3%	6%	2%	5%	6%	6%	8%	5%	7%	8%	6%	2%	7%
ადგილობრივი გენერაცია	1,095	1,060	957	798	907	999	1,187	956	809	741	817	1,093	11,574	4,415
წლიური ზრდა	9%	2%	11%	3%	14%	18%	27%	-1%	0%	-12%	-7%	2%	7%	-3%
ჰიდროსადგურები	1,091	1,060	894	640	653	642	682	564	362	544	722	1,085	9,329	3,276
წლიური ზრდა	10%	5%	17%	26%	22%	17%	12%	-10%	-33%	-22%	-1%	1%	10%	-11%
თბოსადგურები	5	1	63	159	254	354	497	385	442	188	86	0	2,235	1,101
წლიური ზრდა	-72%	-96%	-34%	-41%	-1%	19%	51%	14%	62%	26%	-40%	N/A	-6%	22%
ქარის სადგურები	-	-	-	-	-	2	7	7	6	9	9	8	9	39
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
იმპორტი	1	5	10	24	17	13	33	179	250	311	147	2	479	888
წლიური ზრდა	-41%	298%	-73%	-47%	-71%	-85%	-73%	92%	106%	134%	493%	-41%	-32%	137%
ექსპორტი	212	130	27	0	0	0	0	1	0	0	0	200	559	201
წლიური ზრდა	15%	-22%	13%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	5%	-15%	0.06
წმინდა ექსპორტი	211	124	17	(24)	(17)	(13)	(33)	(178)	(250)	(311)	(146)	199	80	(687)
ტრანზიტი	20	88	139	101	131	131	134	10	16	4	5	4	850	39
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-49%	-84%	-90%	N/A	N/A	-63%

წყარო: ესკო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაა თხოვრად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოშვებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლამა ქვთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმისიშვილი | ikumisishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge